პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 ივნისი. ოთხშაბათი, 1986 წ
№ 113 (9204) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# სსრ კავშირის ნაკრები— მერვედფინალში

სსრ კავშირისა და კანადის გუნდების შეხვედრა. ო. ბლოხინს პირველი ბურთი გააქვს მეტოქის კარში.
რეიტერ-საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.




„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი **დავით კაკაბაძე** მექსიკიდან გვატყობინებს:

— ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში კანადელებთან საბჭოთა ფეხბურთელებს გამარჯვება ჰქონდათ დაგეგმილი, ვინაიდან, ჯერ ერთი, პირველი ადგილი ჯგუფში ჩვენს ნაკრებს საშუალებას აძლევდა ბრძოლა გაეგრძელებინა ლეონის ნაცნობ სტადიონზე, გარდა ამისა, ჯგუფში პირველი ადგილის მოპოვების შემთხვევაში ვითამაშებდით მეტოქესთან, რომელიც თავის ჯგუფში მესამე ადგილს დაიკავებდა, ეს კი, ასე თუ ისე, ხელსაყრელია.

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ კანადელებთან მატჩში თითქმის სრულიად ახალი შემადგენლობა გამოიყვანა მინდორზე, პირველი მატჩის მოთამაშეთაგან სასტარტო სიაში მხოლოდ კუზნეცოვი და ალეინიკოვი იყვნენ. ვ. ლობანოვსკიმ ეს იმ მოსაზრებით გააკეთა, რომ საშუალება მიეცა წამყვანი მოთამაშეებისთვის აღედგინთ ძალები პირველი ორი უმძიმესი მატჩის შემდეგ. ჯერ კიდევ ვერ გამოჯანმრთელდა თბილისის დინამოელი ა. ჩივაძე, თუმცა იგი უკვე შეუდგა ვარჯიშს. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა ამ მატჩში ასეთი იყო: ჩანოვი, ბალი, კუზნეცოვი, ბუბნოვი, მოროზოვი, ლიტოვჩენკო, ალეინიკოვი, ევტუშენკო, პროტასოვი, როდიონოვი, ბლოხინი. ახალ მოთამაშეებს, ბუნებრივია, სასტარტო მღელვარება ეტყობოდათ. საერთოდ, მწვრთნელმა შემადგენლობა გამოაცხადა მატჩის დაწყებამდე მხოლოდ 3 საათით ადრე, ამიტომ დასაწყისში თამაში ვერ აეწყო, ტემპის დასასრულს კი გუნდი სულ უფრო და უფრო უმატებდა ტემპს, შეტევებიც უფრო სახიფათო იყო. შემდეგ, როცა მინდორზე შემცვლელად გამოვიდნენ ბელანოვი და ზავაროვი, ეს უპირატესობა კიდევ უფრო ცხადი შეიქნა (ბელანოვმა შეცვალა პროტასოვი, ხოლო ზავაროვმა — ბლოხინი), ჩვენი გუნდის თამაშიც კიდევ უფრო გაძლიერდა.

პირველი ბურთი კანადელთა კარში ბელანოვის გადაცემით გაიტანა ბლოხინმა 58-ე წუთზე, შემდეგ კი ზუსტად ითამაშა ზავაროვმა და მეორედ აიღო კანადელთა კარი.

თამაშის მერე სასტუმროში დაბრუნებულ ჩვენს ფეხბურთელებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს გულშემატკივრებმა, რომელთა შორის იყვნენ ირაპუატოს მაცხოვრებლებიც და საბჭოთა კომკავშირული ტურისტული ჯგუფის „თანამგზავრის“ წევრებიც.

ამავე დღეს ლეონში ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და უნგრეთის გუნდები. უნგრელები მიახლოებითაც არ გვანან იმ გუნდს, რომელმაც ამას წინათ ბუდაპეშტში ანგარიშით 3:0 დაამარცხა ბრაზილიის ნაკრები. ეტყობა, გუნდის მომზადების უმაღლესმა წერტილმა სწორედ მაშინ გაიარა, ახლა კი უნგრელი ფეხბურთელები დამძიმებული ჩანან, ნელა მოქმედებენ, ამიტომ მათ ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს საფრანგეთის აქტიურად მოთამაშე, ენერგიულ გუნდს. პირველი ბურთი უნგრელთა კარში შესვენებამდე გაიტანა სტოპირამ, მეორე ტაიმში კი ტიგანამ და როშტომ ანგარიში 3:0-მდე აიყვანეს. მატჩის შედეგი ზუსტად შეესაბამება თამაშის მსვლელობას.

სტატისტიკოსებმა უკვე შეაჯამეს III ჯგუფში ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები. 6 მატჩში გატანილია 16 გოლი (საშუალოდ 2,67 გოლი ყოველ თამაშში), კანადელებმა 3 მატჩში ვერც ერთი ბურთის გატანა ვერ შეძლეს. ჯგუფის საუკეთესო ბომბარდირია საბჭოთა ფეხბურთელი იარემჩუკი, რომელმაც 2 ბურთი გაიტანა, დანარჩენი 14 გოლი 14 მოთამაშეზე მოდის.

6 მატჩს 130 ათასი მაყურებელი დაესწრო, ყველაზე მეტი გულშემატკივარი მოვიდა კანადისა და საფრანგეთის გუნდების შეხვედრაზე — 35.748 კაცი.

კანადელი ფეხბურთელი სუინი პირველი იყო, რომელმაც მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე წითელი ბარათი დაიმსახურა. III ჯგუფში 8 გაფრთხილება მისცეს ფეხბურთელებს: 4 ყვითელი ბარათი დაიმსახურეს ფრანგებმა, 2-2 კანადისა და სსრ კავშირის ფეხბურთელებმა, უნგრელებს გაფრთხილება არ მიუღიათ.

სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდების შეხვედრაში ორჯერ დაინიშნა პენალტი.

სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა **ვ. ლობანოვსკიმ** კანადელებთან მატჩში თავის გუნდში მომხდარ საგრძნობ ცვლილებებზე განაცხადა, რომ საჭიროა თანაბრად განაწილდეს ძალები მთელი ჩემპიონატის მსვლელობაზე. ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება იოლი არ იყო, მაგრამ მთავარი — წინაა...

კანადელთა ხელმძღვანელმა **ტ. უაიტერსმა** განაცხადა: საბჭოთა ფეხბურთელებმა საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინეს. ჩვენ შევეცადეთ გაგვეკეთებინა ყველაფერი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ერთი ბურთიც კი ვერ გავიტანეთ...

საფრანგეთის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **ა. მიშელმა** კმაყოფილება გამოთქვა თავისი გუნდის თამაშით, თუმცა შემდგომში მეტი ენერგიის გამოჩენაა საჭირო. მ. პლატინი თამაშიდან თამაშამდე აუმჯობესებს თავის მაჩვენებლებს, მომავალში იგი ნამდვილ საბრძოლო ფორმაში შევა.

**დ. მეზეი** (უნგრეთის ნაკრების უფროსი მწვრთნელი): „ფრანგების მიერ გატანილი პირველი ბურთი გადამწყვეტი აღმოჩნდა, თამაშის მსვლელობის შეცვლა ჩვენი ფეხბურთელების ძალებს აღემატებოდა“.

იხ. მე-3 გვ.

# აგიტმატარებელი ზუგდიდში ჩავიდა

**გუშინვე პირველი რეპორტაჟი გადმოგვცა „ლელოს“ სპეციალურმა კორესპონდენტმა პეპი ბოჰორიშვილმა:**

**როგორც** უკვე ვწერდით, 9 ივნისს თბილისიდან დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის აგიტმატარებელი „საქართველოს კომკავშირელი“. ეს გასვლა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით ეწყობა და მისი მიზანია ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდა. აგიტმატარებელი მთლიანად სპორტსახკომმა დააკომპლექტა და მუშაობის პრაქტიკულ მხარესაც სპორტკომიტეტის წარმომადგენლები უძღვებიან.

ზუგდიდის ვაგზალში გულთბილად დაგვხვდნენ მასპინძლები — ქალაქის პარტიული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ახალგაზრდობა. სახელდახელოდ გამართულ თათბირზე დაკონკრეტდა დღის პროგრამა, ჩვენი ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. აქ არიან აკრობატები, მხატვრული და რიტმული ტანვარჯიშის წარმომადგენლები, რომლებიც საჩვენებელ გამოსვლებს გამართავენ საწარმოდაწესებულებებში. საერთაშორისო ოსტატი თამარ ხუგაშვილი ფაიფურის ქარხანაში „გააწესეს“, სადაც 20 დაფაზე ეთამაშება ჭადრაკის მოყვარულებს, ჩაის გადამწონ ფაბრიკაში ერთდროული თამაშის სეანსს გამართავს ოსტატი ალექსანდრე ბლაგიძე. მასპინძლები, ცხადია, სიხარულით შეხვდნენ ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელების გამოჩენას. ვეტერანთა გუნდში არიან: მესხი, მეტრეველი, კალოევი, ბ. სიჭინავა, ურუშაძე, ხუნდაძე, ჟორდანია, მ. მაჩაიძე, ილიადი, ლ. ნოდია, ასიტაშვილი, ქორიძე, კოსტავა, ჭილაია, თავაძე, რუხაძე. ისინი ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ადგილობრივ „დინამოს“ შეხვდებიან. საღამოს მოეწყობა სპორტული კინოფილმების ჩვენება... შემდეგ გველის ახალი შეხვედრები ხობში, ცხაკაიაში, ფოთსა და აბაშაში.

**სსრ კავშირის ჩემპიონატი სამგოში**

# მალხაზ ბერუაშვილი დაამახსოვრდათ

**პერმი.** სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრების მეორე დღეს მედლების კიდევ ხუთი კომპლექტი გათამაშდა.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ფინალური ბრძოლა 90 კგ წონით კატეგორიაში მინსკელ გოჩა მძელურსა და ომსკელ ალექსანდრე პუშნიცას შორის (ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია ცხრაჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი). თავდაპირველად პუშნიცა დაწინაურდა — 3:1, მერე მძელურმა 4-ქულიანი გდება შეასრულა. გამოცდილმა პუშნიცამ შეხვედრის მიწურულში ქულები გაათანაბრა, მაგრამ გოჩა მძელურს 4-ქულიანი ილეთი ჰქონდა ჩატარებული და ოქროს მედალიც მას მიეკუთვნა.

მაყურებლებისა და სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა მძიმე წონის ახალგაზრდა თბილისელმა სამბისტმა მალხაზ ბერუაშვილმაც. წინასწარი შეხვედრები მან აღმავლობით ჩაატარა და მეტოქეებს ადვილად გაუსწორდა. მაგრამ, როგორც ჩანს, გამოცდილება არ ეყო, ერთხელ წაიბორძიკა და მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა გამოცდილ ლენინგრადელთან მიხეილ ფროლოვთან.

სპეციალისტთა აზრით, ეს შეხვედრა მძიმე წონაში საუკეთესო იყო. ბერუაშვილმა აშკარად დაჩაგრა მეტოქე და ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვა.

ჩემპიონები კი გახდნენ: 52 კგ — ბ. ფაიზიევი (უზბეკეთი), 62 კგ — ა. აქსიონოვი, 74 კგ — ვ. შვაცა (ორივე — რსფსრ), 90 კგ — გ. მძელური (ბელორუსია), მძიმე— ვ. შკალოვი (მოსკოვი).

# ფოტოფინიშმა გადაწყვიტა

**მაია აზარაშვილი — გამარჯვებულთა შორის**

„ლელოს“ გუშინდელ ნომერში გაცნობეთ ჩვენი მძლეოსნების, დინამოელი ოლეგ სტრიჟაკოვისა და მაია აზარაშვილის („კოლმეურნე“) მიერ ლენინგრადში ძმები ზნამენსკების XXIX მემორიალში მოპოვებულ წარმატებებზე. მონაწილეთა გამოსვლები იმდენად თანაბარი იყო, რომ წინასწარ გამოცხადებულ შედეგებში რამდენიმე შეცდომა გაიპარა. მაგალითად, მაია აზარაშვილს 100-მეტრიან დისტანციაზე მე-3 ადგილი მიეკუთვნა, 200 მეტრიანზე — მეორე. შემდეგ, როდესაც მსაჯებმა ფოტოფინიშის საშუალებით გულდასმით შეამოწმეს მონაწილეთა გამოსვლა, აღმოჩნდა, რომ ქართველ სპორტსმენს 200 მეტრზე რბენაში ისეთივე შედეგი უჩვენებია, როგორიც გამარჯვებულ ელვირა ბარბაშინას ჰქონდა. ასე რომ, მემორიალზე პირველი ადგილი ამ ორმა სპორტსმენმა გაიანაწილა. ორჯერ უფრო მოკლე მანძილზეც აზარაშვილმა ერთი საფეხურით წინ გადაინაცვლა, — მან წამის მეასედით აჯობა შეჯიბრების მესამე პრიზიორს ბარბაშინას. სხვათა შორის, მაიამ ამ დისტანციაზე პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი — 11,21. სულ წამის ორი მეასედი დააკლდა დინამოელ დიმიტრი კალაძეს, რომ ეს წოდება მოეპოვებინა, ოუმცა მის მიერ 110 მეტრზე თარჯრბენში ნაჩვენები შედეგი — 13,77 — საქართველოს ახალი რეკორდია (ელექტროწამმზომზე).

## XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

**9.VI. ლეონი. უნგრეთი–საფრანგეთი 0:3**

**9.VI. ირაპუატო. სსრ კავშირი–კანადა 2:0**

**დღეს თამაშობენ:**

ერაყი-მექსიკა · პარაგვაი-ბელგია · პორტუგალია-მაროკო · ინგლისი-პოლონეთი

# ქიფი...

## ლაზეთის ფრეში

**ინფორმაცია მკითხველისთვის:** 3 ივნისს ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა კრიტიკული ხიგნალი „მოედანი სამოსახლოდ გასცეს“. საჩივარი, რომელსაც ხელს 70 კაცი აწერდა, რედაქციაში წინა დღეს მოიტანა გარდაბნის რაიონის სოფელ დიდი ლილოს სვანების უბნის სამმა წარმომადგენელმა.

მეორე დღეს დიდი ლილოს მეუნიბეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გრიგოლ ონიანი რედაქციაში გვეწვია. სტუმარი გვარწმუნებდა, შეცდომაში შეიყვანეს რედაქცია, მსგავსი რამ არ მომხდარაო. ცხადია, შევწუხდით, ძალიან გვთხოვა ახლავე წამოდით, ჩემს ხიმართლეში ფაქტის ადგილზე შესწავლით დარწმუნდითო. იმ დღეს ვერ ჩავედით, მეორე დღეს კი მართლაც გულდამძიმებულნი გავუდექით გზას.

**რითაც სოფელი ამაყობს.** პირველ ყოვლისა, დიდლილოელები და სოფლის თავკაცები იმით ამაყობენ, რომ საბჭოთა მეურნეობა მოწინავეთა რიგებშია. წელსაც 6 თვის გეგმები 5 თვეში გაანადღეს. სოფელში არის კულტსაგანმანათლებლო კერები, საყოფაცხოვრებო ობიექტები... ჰყავთ მოწინავე ადამიანები, მრავალშვილიანი ოჯახები.

ადამიანი უწინარესად საქმიანი თვისებებით, სოფელ-ქვეყნისთვის თავდადებით ფასდება. ხალხმა ეს კარგად იცის. გრიგოლ ონიანი და სოფლის სხვა თავკაცები შესანიშნავი ორგანიზატორები და სოფლის ჭეშმარიტი გულშემატკივრები არიან. დაგვთანხმებით, ასეთი ხალხის გულისტკენა ჩვენი მხრიდან მართლაც უმართებულო იქნებოდა და „შეცდომის გამოსასწორებლად“ აკი მეორე დღესვე ვეწვიეთ სოფელს.

დიდ ლილოში არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღზრდილა, მაგრამ ეს ბუნებრივი ტალანტისა და თბილისთან სიახლოვის შედეგი უფრო იყო, ვიდრე სოფელში მიზანმიმართული ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისა. კაცმა რომ თქვას, სოფლის ფიზკულტურული კოლექტივი არც არასდროს ბრწყინავდა. სოფლის ახალ თავკაცებს, ცხადია, შეეძლოთ ამ სფეროშიც გარდატეხა მოეხდინათ, სასიკეთოდ შემოებრუნებინათ საქმე, მაგრამ რაც დახვდათ, იმით დაკმაყოფილდნენ. რა თქმა უნდა, კარგად გვესმის, სოფელში უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებია გადასაჭრელი, მაგრამ არც ფიზკულტურა და სპორტია იმის ღირსი, რომ საერთოდ არ მივაქციოთ ყურადღება. ლაპარაკია ხელმძღვანელთა მხრიდან საერთო უყურადღებობაზე და არა ნაკლებ დაინტერესებაზე. როცა სოფელში თითქმის ყველაფერი კარგადაა, მართლაც გულსატკენია, თუ მშრომელთა გართობა-დასვენებაზე არავინ ფიქრობს. მერე გვიკვირს და ვწუწუნებთ, ახალგაზრდობას თვალი ქალაქისკენ უჭირავსო. ქალაქი კი ერთი ხელისგაწვდენაზეა დიდლილოდან.

ამ გულისტკივილს თუ საჯაროდ ვამხელთ, მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ლილო გამონაკლისი არ არის და რასაც ვამბობთ, სხვის გასაგონადაც ვამბობთ.

რედაქციაში სტუმრობისას სოფლის ხელმძღვანელს ფიზკულტურის მეთოდისტის შტატზე ჩამოვუგდეთ საუბარი. შტატი გვქონდა, მაგრამ გაგვიუქმესო, გვითხრა მეურნეობის დირექტორმა. ადგილზე ჩასვლისას კი გაირკვა, რომ შტატი არავის გაუუქმებია, უბრალოდ, სპეციალისტი არ ჰყავთ (თუ რატომ არ აჰყავთ ფიზკულტურის მეთოდისტი, ამაზე კონკრეტული პასუხი არავინ გაგვცა).

**პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარის ელგუჯა თიგიშვილის მონოლოგი:** „ფიზკულტურის მეთოდისტი არ გვყავს, ორი წელია სპორტული ინვენტარისთვის გამოყოფილი თანხიდან (300-300 მანეთი) კაპიკიც არ აგვითვისებია. სოფელში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებზე არც ერთხელ არ გვიმსჯელია. ყოველწლიურად სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ საწევროს — 100 მანეთს ვიხდით, ეს არის და ეს“.

**მონოლოგის კომენტარი:** ადგილკომის სრულ ინერტულობას ვერავითარ გამართლებას ვერ უპოვი. შესაძლებლობები არის (სპორტული ბაზები, თანხები, მეთოდისტის შტატი), მაგრამ დამრაზმველი, საქმის თავის დამდგმელი არავინაა. ვის ახდევინებენ ან რისთვის ახდევინებენ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების საწევროს, რას იძლევიან სანაცვლოდ, რას ხმარდება ეს თანხა, კაცმა არ იცის.

**მეექვსე მეორე მხარე.** ეს კი ნამდვილად საოცრებაა. იხეთი საოცრება, რომელიც მხოლოდ სინანულს იწვევს და იმის კლასიკური მაგალითია, როგორ შეიძლება გაასაღო უსაქმობა პრაქტიკულ მოღვაწეობად, სიყალბე — რეალობად და სასურველი — სინამდვილედ. ჩვენს წინაა ფიზკულტურის კოლექტივის სტატისტიკური ანგარიშის ფორმა № 1, რომელიც ოფიციალურად არის დამტკიცებული სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ. დავიწყოთ თავიდან, მივყვეთ ამ ოფიციალურ დოკუმენტში ფიქსირებულ ციფრებს: 190 მუშა და მოსამსახურე სისტემატურად მეცადინეობს ფიზკულტურასა და სპორტში, აქედან სპორტულ ბაზებზე — 60. „კოლმეურნის“ წევრია 200 მშრომელი, II და III სპორტული თანრიგი შესრულებული აქვს 60-ს, მომზადებულია 35 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, მუშაობს ფრენბურთის, მძლეოსნობის, ქართული ჭიდაობის, მაგიდის ჩოგბურთის, ფეხბურთის, ჭადრაკის და შაშის სექციები, ამ სექციებში გაერთიანებულია 136 მომეცადინე, რომელთაგან 70-ს სპორტული თანრიგი აქვს. გამაჯანსაღებელ ჯგუფებში და ტურიზმში 54 სხვადასხვა ასაკის ადამიანია გაერთიანებული.

მოკლედ ვიტყვით: თავიდან ბოლომდე ყველაფერი სიყალბეა, არც ერთი მონაცემი არ შეეფერება სინამდვილეს. არადა, ეს ციფრები ოფიციალურად არის დამტკიცებული მეურნეობაში.

როცა სიტყვა სპორტული ბაზების გამოყენებაზე ჩამოვაგდეთ, ხიამაყით გვითხრეს, იჯარით გვაქვს აღებული სკოლის სპორტული დარბაზიო. წავედით, ვნახეთ, შესანიშნავი სპორტული დარბაზი მართლაც აუღია იჯარით მეურნეობას, ოღონდ... არა სპორტული ჯგუფებისთვის, არამედ აბრეშუმის ჭიის ჩელტების გასაშლელად. აი, თურმე როგორ ესმით მეურნეობაში სწავლისგან თავისუფალ დროს სკოლების სპორტული ბაზების გამოყენების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვა. ამავე სკოლის ეზოშია საცურაო აუზი, რომლის ამუშავებაზე დღემდე არავინ ფიქრობს. იქვე მოუვლელია ფეხბურთის მოედანი.

კიდევ ერთი ფეხბურთის მოედანი, რომლითაც მეურნეობა თავს იწონებს, სოფლის მეორე ბოლოშია. ამ მოედანზე იარონ სვანებისუბნელებმა და ითამაშონო, გვითხრეს. რა თქმა უნდა, თუ გაჭირვებაა, უფრო შორსაც შეიძლება ფეხბურთის ბურთმა გაიტყორცნოს ამ თამაშის მოყვარულები, მაგრამ ის, რომ სვანებისუბნელებს საკუთარი ხელით ერთ ხრიოკ ადგილზე მოწყობილი სათამაშო მოედანი მოუშალეს და სამოსახლოდ გასცეს, არაფრით არ შეიძლება გავამართლოთ. სამოსახლოდ ადგილის მიცემა იმ ოჯახისთვის, თუ ოჯახებისთვის, ვისაც მართლაც ეკუთვნოდა, სხვაგანაც შეიძლებოდა.

**სვანების უბანში მცხოვრები ტრისტან გიგანის განმარტება** (საუბარს მეურნეობის დირექტორიც ესწრებოდა): ამ ადგილზე, რომელიც ახლა სამოსახლოდაა გაცემული და გადახნულია, ნამდვილად იყო ფეხბურთის სათამაშო მოედანი. 45 ოჯახმა 15-15 მანეთი შევაგროვეთ, ტექნიკა დავიქირავეთ, მერე ფიზიკურად ვიშრომეთ და ისე მოვასწორეთ აქაურობა.

**განმარტების კომენტარი:** როგორც ხედავთ, სათამაშო მოედანი, უბრალო და მარტივი, სვანების უბანში ნამდვილად იყო და ნამდვილად გადახნეს, ადგილი სამოსახლოდ გასცეს. ძალაუნებურად იბადება რამდენიმე კითხვა: შეიძლებოდა თუ არა ამ მოედნის დაკანონება? თუ აუცილებელი იყო მისი გაუქმება, რატომ წინასწარ არ განუმარტეს ეს მოსახლეობას, ხალხმა ხომ თანხა გაიღო და შრომა ჩააქსოვა მოედნის მოწყობაში? სოფლის განაპირას ფერდობზე მოწყობილი მოედანი მართლაც დაშორებულია სვანების უბანს. რაც მთავარია, რატომ არ ვუწევთ ანგარიშს იმასაც, რომ იქით მიმავალმა პატარებმა საავტომობილო ტრასა უნდა გადაკვეთონ? იქნებ სწორედ სპორტია ის მაგიური ძალა, რაც სოფელს შეაყვარებს ახალგაზრდებს, რომლებიც სამუშაოდ და სპორტულ სექციაში სამეცადინოდ თბილისს აღარ მიაშურებენ?

ეს კითხვები უპასუხოდ არ უნდა დარჩეს.

**ეპილოგის მაგივრ:** დიდი ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, ეჭვგარეშეა, ფიზკულტურისა და სპორტისადმი აშკარა გულგრილობას იჩენენ. ეს მაშინ, როცა პარტიისა და მთავრობის არაერთი სადირექტივო დადგენილებაა მიღებული. უყურადღებოდ რჩება. ავრეთვე ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებების გადაწყვეტილებებიც. იმედია, ამიერიდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლება, მეურნეობას, მის თავკაცებს ამის შესაძლებლობები და უნარი ნამდვილად გააჩნიათ. იმედია, ფიზკულტურა და სპორტი, საჭადრაკო ენით რომ ვთქვათ, ხანგრძლივ და მუდმივ ქიშს თავს დაალწევს.



აი, როგორ გამოიყურება სოფელ დიდი ლილოს საშუალო სკოლის სპორტული დარბაზი.



ზაფხულის ცხელი დღეები დადგა, ამ საცურაო აუზით კი ჯერაც არავინ დაინტერესებულა.



ადგილს ეძახიან სოფლის თავკაცები კეთილმოწყობილ ფეხბურთის „სტადიონს“.

ესღა დარჩა სვანების უბნის მარტივი საფეხბურთო მოედნიდან, რომელიც მოსახლეობამ თავისი სურვილით მოაწყო და სოფლის ხელმძღვანელობამ ასევე თავისი სურვილით გააუქმა.



აქ კომენტარი მართლაც ზედმეტია.

---

**საქართველოს IX სპარტაკიადა**

# ავტორიტეტს გაფრთხილება უნდა

**რესპუბლიკური** სპარტაკიადის ფინალური ტურნირი, როგორც წესი, სპეციალისტებისა და სპორტის მოყვარულთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ეს შეჯიბრება ზუსტ პასუხს იძლევა იმაზე, თუ როგორ მუშაობენ ადგილებზე სპორტის კონკრეტული სახეობის განვითარებისთვის. ქუთაისის სპორტკომიტეტის დარბაზში სპარტაკიადის პარალელურად კლასიკური სტილის მოჭიდავეთა რესპუბლიკური ჩემპიონატიც ჩატარდა და ამან შეჯიბრების ინტერესი ერთიორად გაზარდა. თუმცა, აქვე უნდა ვთქვათ, რომ რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის სპორტის მესვეურები ერთნაირი გულისყურით არ მოკიდებიან ამ ავტორიტეტულ ტურნირებს, ბევრმა არასრული გუნდი ჩამოიყვანა ქუთაისში, ცხაკაიას წარმომადგენლები კი საერთოდ არ გამოჩენილან. წინასწარი მონაცემებით, სპარტაკიადაზე 300-მდე „კლასიკოსი“ უნდა გამოსულიყო, სტარტზე კი სულ 152 სპორტსმენი გამოცხადდა. მონაწილეთა შორის არ იყო რესპუბლიკის ნაკრების რამდენიმე წევრი, ისინი, ვინც პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებოდა.

— მე, პირველ ყოვლისა, იმ მოჭიდავეთა მზადყოფნა მაინტერესებდა, რომელთაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის ვამზადებთ — ამბობს საქართველოს „კლასიკოსთა“ ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი თემურ ყაზარაშვილი, — თუმცა, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა სპორტსმენსაც ვაკვირდებოდი. ჩვენი ყურადღება რამდენიმე პერსპექტიულმა მოჭიდავემ მიიქცია. მათ შორის მინდა გამოვყო გელა პაპაშვილი, ხვიჩა ჭანკვეტაძე და მამუკა ბაბლუანი. რაც შეეხება რესპუბლიკის ნაკრების წევრებს, მათ ძირითადად კარგად იასპარეზეს.

ორიოდე სიტყვით საქართველოს ჩემპიონატზე. აქ ყველა მედალი არ გათამაშებულა. საქმე ის არის, რომ ქუთაისში მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციამ გამოგზავნა სპორტსმენები, ზოგიერთ წონაში საერთოდ არ იყო მონაწილე. უშუალოდ სასპარტაკიადო ტურნირშიც მოხდა ერთი-ორი არასასიამოვნო ფაქტი. მაგალითად, მაკალათია — ხუნაშვილის შეხვედრაში მსაჯებმა საჭირო პრინციპულობა ვერ გამოიჩინეს, ქარსელაძე — სანაძეს კი ხალიჩაზე ჩხუბი გააჩაღეს.

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ** — ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲚᲔᲑᲘ

**48 კგ.** 1. გ. პაპაშვილი (თბილისი), 2. ხ. ჭანკვეტაძე (ქუთაისი), 3. ნ. კირიაზოვი (აფხაზეთი).

**52 კგ.** 1. გ. ჯულაყიძე (სამტრედია), 2. მ. ბაბლუანი (თბილისი), 3. ვ. ხეჩინოვი (ქუთაისი).

**57 კგ.** 1. კ. გულიაშვილი (გარდაბანი), 2. ზ. ჩაკვეტაძე (ქუთაისი), 3. ა. ახობაძე (სამტრედია).

**62 კგ.** 1. რ. გუდაძე (თბილისი), 2. რ. ტუღუში (მახარაძე), 3. გ. ტაბატაძე (ჭიათურა).

**68 კგ.** 1. მ. გიგაური (გარდაბანი), 2. მ. მიქაძე, 3. გ. ჩაკვეტაძე (ორივე — ქუთაისი).

**74 კგ.** 1. ა. ერაძე (თბილისი), 2. ი. ხუჯაძე (მახარაძე), 3. ზ. მეშველიანი (აფხაზეთი).

**82 კგ.** 1. ი. ხუნაშვილი, 2. გ. ხომასურიძე (ორივე — თბილისი), 3. გ. კოღუაშვილი (ქუთაისი).

**90 კგ.** 1. თ. თედორაძე (აჭარა), 2. გ. ლომიაშვილი (თბილისი), 3. გ. ბანძელაძე (ტყიბული).

**100 კგ.** 1. ვ. დონგუზაშვილი (თბილისი), 2. ბ. ღვინიანიძე (ქუთაისი), 3. ზ. ბერაია (ხობი).

**130 კგ.** 1. ვ. ქარსელაძე, 2. დ. ისაკაძე (ორივე — თბილისი), 3. მ. სვანიძე (ქუთაისი).

გუნდური ჩათვლა: 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. აჭარა.

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

# მექსიკა—86

## ჩემპიონატის სტატისტიკა

**მატჩი № 19. მექსიკა — პარაგვაი 1:1 (1:0). II ჯგუფი.** მეხიკო. 7 ივნისი. გოლები: ფლორესი (მექსიკა), რომერო (პარაგვაი). მსაჯი დ. კურტნეი (ინგლისი). 114.000 მაყურებელი. 89-ე წუთზე მექსიკელმა სანჩესმა ვერ გაატანა 11-მეტრიანი. გაფრთხილეს ნეგრეტე, ტრეხო, სანჩესი (მექსიკა), მენდოსა, შეტინა (პარაგვაი).

**მატჩი № 20. ჩრდილოეთ ირლანდია — ესპანეთი 1:2 (0:2). IV ჯგუფი.** გვადალახარა. 7 ივნისი. გოლები: ბუტრაგენიო, სალინასი (ესპანეთი), კლარკი (ჩრ. ირლანდია). მსაჯი ჰ. ბრუმაიერი (ავსტრია). 15.000 მაყურებელი. გაფრთხილეს ესპანელი ვიქტორი და ჩრ. ირლანდიელი ჰემილტონი.

**მატჩი № 21. პოლონეთი — პორტუგალია 1:0 (0:0). VI ჯგუფი.** მონტერეი. 7 ივნისი. გოლი: სმოლიარეკი (პოლონეთი). მსაჯი ა. ბენ ნასერი (ტუნისი). 20.000 მაყურებელი. გაფრთხილეს პოლონელი ფეხბურთელები ვუიციცკი და ძეკანოვსკი.

მექსიკა — პარაგვაი 1:1. პარაგვაელთა მეკარე ფერნანდესი იგერიებს უგო სანჩესის თერთმეტმეტრიან დარტყმას.

დანია — ურუგვაი 6:1. გარღვევაზეა დანიელი პრებენ ელკაიერი, რომელმაც „ჰეთ-თრიკი“ გააკეთა ამ მატჩში.



გფრ — შოტლანდია 2:1. შოტლანდიელი სტრაჩანის გოლი გერმანელთა კარში.

რეიტერ-ხაკდეს-ხაქინფორმის ტელეფოტოები.

**მატჩი № 22. ერაყი — ბელგია 1:2 (0:2). II ჯგუფი.** ტოლუკა. 8 ივნისი. გოლები: შიფო, კლასენი (ბელგია), ამაეში (ერაყი). მსაჯი ხ. პალასიო. 10.000 მაყურებელი. გაფრთხილეს ერაყელი ფეხბურთელები სალმანი, სალიმი, ჰასანი, მაჰმუდი, აბიდუნი, მინდვრიდან გააძევეს ერაყელი ფეხბურთელი ზანა.

**მატჩი № 23. გფრ — შოტლანდია 2:1 (1:1). V ჯგუფი.** კერეტარო. 8 ივნისი. გოლები: სტრაჩანი (შოტლანდია), ფიოლერი, ალოფსი (გფრ). მსაჯი ი. იგნა (რუმინეთი). 12.000 მაყურებელი. გაფრთხილეს შოტლანდიელი ფეხბურთელები არჩიბალდი, ბანონი და მელპასი.

**მატჩი № 24. დანია — ურუგვაი 6:1 (2:1). V ჯგუფი.** ნეცაუიილკოიოტლი. 8 ივნისი. გოლები: ელკაიერი-3, ლერბიუ, ლაუდრუპი, ე. ოლსენი (დანია), ფრანჩესკოლი (ურუგვაი). მსაჯი ა. რამირესი (მექსიკა). 23.000 მაყურებელი. გაფრთხილეს ი. ნილსენი (დანია), და სილვა (ურუგვაი). გაფრთხილეს და შემდეგ მინდვრიდან გააძევეს ურუგვაელი ფეხბურთელი ბოსიო.

## პიკე გვატყობინებს

⊙ ჟურნალისტების აზრით, ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელ ტელე სანტანას პელეზე სასტიკი კრიტიკოსი არა ჰყავსო.

აი, რას ამბობს პელე: „სანტანა ის კაცია, რომელიც გუშინდელი დღით ცხოვრობს. ბრაზილიაში არაერთი საუკეთესო ფეხბურთელია, რომელიც სანტანას ნაკრებში არ მიუწვევია იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ... მათი თამაში არ უნახავს. სანტანას ბოლო წლებში ბრაზილიაში არ უცხოვრია. ძალიან მინდოდა ნაკრების მწვრთნელი მარიო ზაგალო ყოფილიყო, მაგრამ ვინ მომისმინა...

⊙ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატს არაერთი საპატიო სტუმარი ესწრება, მათ შორის არის განთქმული საოპერო მომღერალი პლასიდო დომინგო (ესპანეთი). გამოჩენილი ტენორი ჩემპიონატის დღეებში მართავს კონცერტებს, რომელთა მთელი შემოსავალი მიწისძვრით დაზარალებულ ოჯახებს გადაეცემა.

⊙ არგენტინული გაზეთი „ხრონიკა“ იტალიელთა ფრეს ბულგარელებთან მსოფლიო ჩემპიონთა არასაკმარის დისციპლინას აბრალებს.

ჩვენ თამაშის წინა ღამეს სასტუმროში შევხვდით კონტის, რომელიც ვისკის ბოთლით ხელში სადღაც მიიჩქაროდა. სხვა იტალიელი ფეხბურთელებიც ვისკის ბოთლებით იყვნენ „შეიარაღებულნი“. არც არავის უფრთხოდნენ და არც არავისი ერიდებოდათ.

MEXICO86

## ვის შეხვდებიან მერვედფინალში საბჭოთა ფეხბურთელები?

**მსოფლიოს XIII ჩემპიონატზე მექსიკაში წინასწარი შეჯიბრება ყველაზე ადრე დამთავრდა III ჯგუფში. გათამაშების საბოლოო ცხრილი ასეთია:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირი** | 3 | 2 | 1 | 0 | 9-1 | 5 |
| **საფრანგეთი** | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 5 |
| **უნგრეთი** | 3 | 1 | 0 | 2 | 2-9 | 2 |
| **კანადა** | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |

გათამაშების შემდგომ ეტაპზე, მერვედფინალში, ყოველი წინასწარი ჯგუფიდან შეუფერხებლად გადის 2-2 გუნდი. სსრ კავშირისა და საფრანგეთის ფეხბურთელებს ერთნაირი მაჩვენებლები აქვს, მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობის შეოხებით საბჭოთა გუნდი პირველ ადგილზეა, საფრანგეთისა — მეორეზე. მერვედფინალში 6 წინასწარი ჯგუფიდან გავა კიდევ ის 4 ნაკრები, რომლებსაც სხვებზე უკეთესი მაჩვენებლები ექნება. უნგრელებმა III ჯგუფში მხოლოდ 2 ქულა დააგროვეს და ბურთების სხვაობაც ცუდი აქვთ, ამიტომ ალბინი ბრძოლას შემდგომ ეტაპზე ველარ გაგრძელებენ.

საბჭოთა ნაკრები, როგორც ჯგუფის გამარჯვებული, 15 ივნისს ქალაქ ლეონში მიიღებს პირველ, მეორე ან მეექვსე ჯგუფში III ადგილზე გასულ გუნდს. გუშინ პირველ ჯგუფში გაიმართა ორი შეხვედრა: სამხრეთ კორეა — იტალია და არგენტინა — ბულგარეთი, ამ მატჩების ჩატარებამდე კი ამ ჯგუფში ასეთი მდგომარეობა იყო:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არგენტინა** | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 3 |
| **ბულგარეთი** | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| **იტალია** | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| **სამხ. კორეა** | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |

მეორე ჯგუფში ბოლო შეხვედრები გაიმართება დღეს. მეხიკოში თამაშობენ ერაყი — მექსიკა, ტოლუკაში კი პარაგვაი — ბელგია. II ჯგუფის სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მექსიკა** | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 3 |
| **პარაგვაი** | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 3 |
| **ბელგია** | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 2 |
| **ერაყი** | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

VI ჯგუფში სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პოლონეთი** | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 3 |
| **პორტუგალია** | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 2 |
| **მაროკო** | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| **ინგლისი** | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

დღეს გვადალახარაში თამაშობენ პორტუგალია — მაროკო, ხოლო მონტერეიში — ინგლისი — პოლონეთი.

**ყველა ამ მატჩის შემდეგ გაირკვევა საბჭოთა ფეხბურთელთა მომავალი მეტოქე მერვედფინალში.**

## ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲐᲡ ᲨᲔᲛᲔᲑᲭᲘᲓᲐᲗ?

**ფეხბურთიც, კულტურულ-სპორტული პროგრამაც**

**ფეხბურთის** გულშემატკივრებისათვის ცნობილია, რომ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე „ერთგულების ლატარია“ ახლა გათამაშდება არა ტაიმებს შორის შესვენების დროს, როგორც ეს ადრე იყო, არამედ საფეხბურთო მატჩის დამთავრების შემდეგ.

ამგვარი გადაწყვეტილება უდავოდ სასარგებლოა და მოსაწონი. გუნდების შესვენებისათვის გამოყოფილი 13-15 წუთი, აგრეთვე მატჩის დაწყებამდე დარჩენილი დრო შეიძლება საინტერესო გავხადოთ მაყურებლისათვის, მაგრამ რა ღონისძიებებით და როგორ?

რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ სტადიონზე მოსული მაყურებელი ემოციურად დაიტვირთოს, ცალკეული ტრიბუნები ჩავაბათ სხვადასხვა ვიქტორინებსა და კონკურსებში?

მოწონებულია წინადადება, რომ თბილისის რაიონებმა „დინამოს“ სტადიონზე რიგრიგობით ჩაატარონ ღონისძიებები — როგორც მატჩის დაწყებამდე, ისე შესვენების დროს. რეკომენდებულია თეატრალიზებული სტილით მოწყობილ ღონისძიებებში გამოჩნდეს რაიონის სპეციფიკა, ფიზკულტურისა და სპორტის, განსაკუთრებით სპორტის ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშების ბუნება და ხასიათი. ფიზკულტურულ-სპორტული და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიება უნდა ეფუძნებოდეს ფიზიკური კულტურის, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას და შეიცავდეს კულტურული პროგრამის ელემენტებს. რეკომენდებულია ამ ღონისძიებების მუსიკალური თანხლებით ჩატარება. სპორტული სანახაობითი ღონისძიებები დაიწყება მატჩამდე ერთი საათით ადრე და შეავსებს ტაიმებს შორის შესვენების დროს.

შექმნილია თბილისის საქალაქო საბჭოს, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპორტსახკომის სპეციალური კომისია, რომელიც შეაფასებს თბილისის თითოეული რაიონის გამოსვლას. წლის ბოლოს ეს კომისია შესაბამის ორგანოებს წარუდგენს თავის წინადადებას საუკეთესოთა დაჯილდოების შესახებ. პირველ ღონისძიებას „დინამოს“ სტადიონზე 14 ივნისს პირველი მაისის რაიონი წარმოადგენს.

ძვირფასო მკითხველებო! კულტურულ-სპორტული პროგრამის გამრავალფეროვნებასთან დაკავშირებით იქნებ თქვენც შემოგთავაზოთ თქვენი წინადადებები, მოგვწერეთ, ყველა წინადადებას გულდასმით განვიხილავთ და გაზეთის ფურცლებზეც გამოვაქვეყნებთ.

ველით თქვენს გამოხმაურებას.

**გამოხმაურება წერილზე „საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროზე“**

## თუ ჩემს აზრს გაიზიარებთ...

**გულდასმით გავეცანი „ლელოს“ 27 მაისის ნომრის მოწინავე წერილს — „საზოგადოებრივობის სამსჯავროზე“, რომელიც ფეხბურთში დისციპლინის ამაღლების საკითხებს ეძღვნებოდა. მე წლების მანძილზე ძალზე ახლოს ვიყავი ბორჯომის „თორის“ ფეხბურთელთა გუნდთან და კარგად ვიცი, რაც ხდება ამ სფეროში. დისციპლინის დამყარებისათვის ბრძოლა თითოეული ჩვენგანის საქმეა.**

**ერთ ხანს ფეხბურთის სამმართველომ მატჩებზე კომისიების მიმაგრება დაიწყო, მაგრამ სამწუხაროდ, მერე ისე წავიდა საქმე, ამგვარმა „სტუმრობამ“ მახინჯი სახე მიიღო.**

**ისე კი, ჩემი გამოცდილებით გეტყვით, რომ ბევრი მსაჯი უღირსად იქცევა, ჩრდილს აყენებს რესპუბლიკის ჩემპიონატის ღირსებას. ამიტომ, მარტო ფეხბურთელებზე კი არა, მსაჯებზეც უნდა დაწესდეს კონტროლი.**

**ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ გაზეთ „ლელოსთან“ შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელშიც შევლენ სხვადასხვა რაიონიდან მოწვეული ავტორიტეტიანი ადამიანები, ისინი სისტემატურად დაესწრებიან თამაშებს და რადაქციას მოაწვდიან ობიექტურ ინფორმაციას.**

**ომაზი ჩხეიძე,**
**ბორჯომი.**

## ᲫᲚᲘᲐᲠᲘ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲑᲐᲭᲕᲔᲑᲘ

**მექსიკის** ქალაქ ირაპუატოს მკვიდრთა დიდი შადლობა დაიმსახურა საბჭოთა დელეგაციის საჩუქარმა ამ ქალაქის ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელთათვის. ჩვენი სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელებმა და მექსიკაში სსრ კავშირის ელჩმა რ. სერგეევმა ქ. ირაპუატოს მერს მაქს კირბაჩ ფაარდოს ძღვნად გადასცეს სსრ კავშირის სახელმწიფო სპორტკომიტეტის საჩუქარი — ტანვარჯიშული იარაღების კომპლექტი.

სტუმრებმა დაათვალიერეს ირაპუატოს სპორტსკოლა, ნორჩ ტანვარჯიშეებთან კი ერთი თვის განმავლობაში მეცადინეობას ჩატარებს მინსკელი მწვრთნელი ა. ოვსიაკი.

## მექსიკური მოზაიკა

● **მსოფლიო** ჩემპიონატის მატჩების დროს ქალაქ მონტერეის ქუჩებში თითქმის ვერ ნახავთ გამვლელებს: ვინ — სტადიონზეა, ვინ — ტელევიზორს უზის. გაზეთი „ელ ნასიონალი“ იტყობინება, რომ მეხიკოს თეატრების მფლობელები ჩემპიონატის დაწყების შემდეგ ზარალში არიან, მათ დაკარგეს მაყურებელთა თითქმის 50 პროცენტი, მექსიკის მწერალთა ასოციაციის პრეზიდენტმა ხოსე მარია ფერნანდეს უნსაინმა კი განაცხადა, რომ ზოგიერთი რეჟისორი მზადაა შეკვეცოს კიდეც რეპერტუარი.

● **მექსიკაში** ნამდვილი ნადირობაა გაჩაღებული ავტოგრაფებზე. გამოჩენილ ადამიანთა ხელმოწერის მოყვარულნი არ ერიდებიან არაფერს, დადიან სასტუმროდან სასტუმროში, მიემგზავრებიან ქალაქიდან ქალაქში და ამდიდრებენ თავიანთ კოლექციას. მაგრამ ზოგჯერ კაზუსიც ხდება: სასტუმროს ფოიეში, სადაც ერაყის ნაკრები ცხოვრობს, ავტოგრაფების მოყვარულები შემოეხვივნენ ცისფერ სავარჯიშო კოსტიუმში გამოწყობილ კაცს, ასეთი პიჟამო კი ამ გუნდის მწვრთნელებს აცვიათ. თურმე, ერაყის გუნდს თან ახლავს პოლიციელი, იგი კი უარს არ ეუბნებოდა არავის და უხვად არიგებდა ავტოგრაფებს...

● **მსოფლიო** ჩემპიონატმა და, საერთოდ, ფეხბურთმა ერთიანად წალეკა მექსიკაც და მექსიკელებიც. ტელევიზიით და რადიოთი ყოველი საათის შემდეგ გადასცემენ ახალ ინფორმაციას, მეხიკოში გამომავალი 15 დილის გაზეთი, 3 დღის გაზეთი და 3 საღამოს გამოშვება დიდ ადგილს უთმობენ საფეხბურთო ამბებს.

● **საერთაშორისო** პრესა იტყობინებოდა, რომ მექსიკის გუნდის პირველი გამარჯვების შემდეგ ადგილობრივმა გულშემატკივრებმა დიდი აურზაური მოაწყეს რამდენიმე ქალაქში, მაგრამ შესაბამისმა ორგანოებმა მკაცრ ზომებს მიმართეს და მექსიკელ გულშემატკივრებს წესრიგი აღარ დაურღვევიათ. სამაგიეროდ, კვლავ ხულიგნურად იქცევიან ინგლისელი გულშემატკივრები: ისინი ტანთ იხდიან სტადიონის ტრიბუნებზე, რითაც თავიანთ ცინიზმს გამოხატავენ დამსწრეთა მიმართ. ინგლისელთა დიდმა ჯგუფმა მეხიკოს შადრევნებსა და აუზებში ისეთი უწესრიგობა მოახდინა, რომ პოლიციამ 14 ხულიგანი დაუპატიმრა.

**თბილისის „დინამოს“ სტადიონის მეორე იარუსის ვერანდა ნორჩმა ველოსიპედისტებმა თავიანთ საახპარეზოდ გაიხადეს. თუმცა შეჯიბრება აქ არც ჩაუტარებიათ. უბრალოდ, „დინამოს“ სტადიონის ადმინისტრაცია ველოსპორტის კვირეულს ასე გამოეხმაურა.**

**რა თქმა უნდა, მონდომება და საქმის სიყვარული სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ გამოუყენებელი რეზერვი შენიშნო და ესა თუ ის ღონისძიება ჭეშმარიტ დღესასწაულად აქციო. წარმოიდგინეთ ამ ნორჩების სიხარული — საყვარელ სტადიონზე ველოსიპედებს ისე დააქროლებენ, რომ ხელსაც არავინ უშლის და არც ტრანსპორტის ეშინიათ.**

**ველოსპორტის კვირეული გრძელდება. „დინამოს“ სტადიონმა კარგი საქმე წამოიწყო. იქნებ სხვა ორგანიზაციებმაც, ველოსპორტის პოპულარიზაციის მიზნით, რაიმე ორიგინალური მეთოდი გამოძებნონ. მთავარია ველოსპორტისადმი ინტერესი კვირეულის დამთავრების შემდეგაც არ შენელდეს.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტო.

**სსრ კავშირის თასის გათამაშება აფროსნობაში**

# გურამ ბიგანიშვილი ჯერჯერობით მეორეა

**კლაიპედა.** აქ დაიწყო საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება აფროსნობაში. არახელსაყრელმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა ბრძოლა ყოველ კლასში ერთი ორად გაართულა და გაამძაფრა. ზოგ სახეობაში უკვე ხუთი რბოლა ჩატარდა, ზოგში ოთხი.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ბუნებრივია „ვარსკვლავის“ კლასის შედეგები აინტერესებთ, სადაც საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი აფროსანი გურამ ბიგანიშვილი ასპარეზობს. ოთხი რბოლის შემდეგ დაწინაურდა ბელორუსიის წარმომადგენელი ს. ხორეცკი, რომელსაც 9,0 საჯარიმო ქულა აქვს. გურამ ბიგანიშვილი ლიდერს მცირედით ჩამორჩება — 11,4 ქულა. ლენინგრადელი ვ. სოლოვიოვი მესამე ადგილზეა — 14,4.

სხვა კლასებში ლიდერობენ: უკრაინელი კ. გორდეიკო („ფინი“), მისი თანამემამულე ა. აკშინცევი („470“), ესტონელი ა. ტომინგასი („მფრინავი ჰოლანდიელი“), რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ი. კონოვალოვი („ტორნადო“) და მოსკოველი გ. შაიდუკო („სოლინგი“).

**სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა**

# ლიდერები გამოიკვეთნენ

**კიევი.** საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ კალათბურთელ ვაჟთა ტურნირს რამდენიმე ლიდერი ჰყავს. მათ შორის ყველაზე მოულოდნელად დაწინაურებულია ყაზახეთის გუნდი. პირველ ტურში მოსკოვის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ ამ რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ლენინგრადელებსაც სძლიეს — 74:53.

ორ-ორი მოგება აქვთ რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის კალათბურთელებს. მეორე ტურში მათ შესაბამისად ესტონეთის (78:64) და ლიტვის (84:61) გუნდებს აჯობეს. ლატვიის ნაკრებმა ამ დღეს მოსკოვის გუნდს მოუგო — 72:58.

ქალთა შეჯიბრებაში ორ-ორი გამარჯვებით უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის კოლექტივები ლიდერობენ. მეორე შეხვედრაში უკრაინელებმა ლიტვის გუნდს სძლიეს — 74:71, რუსეთის ფედერაციის კალათბურთელებმა კი მძაფრ ბრძოლაში ყაზახეთის წარმომადგენლებს აჯობეს — 70:69. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ბელორუსია — მოსკოვი 61:57, ლენინგრადი — აზერბაიჯანი — 77:45.

**ტურნირის ექო**

# სრული და უდავო უპირატესობა

**სამგზისტმა** ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ამჯერად ლენინგრადში ჩატარდა, - საბჭოთა ათლეტების სრული უპირატესობით წარიმართა. ასეთი რამ არა თუ სამბოს, საერთოდ ჭიდაობის ისტორიას არ ახსოვს. ჩვენი ნაკრების ათივე მონაწილემ ტურნირის უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედლები დაისაკუთრა. არადა, გუნდის ხელმძღვანელობამ ამ ტურნირისთვის შემადგენლობა სანახევროდ გადაახალისა: ნაკრებში მოვიდნენ ახალგაზრდა, პერსპექტიული მოჭიდავეები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მდიდარ „საჭიდაო ფოლკლორს“ სრულყოფილად არიან დაუფლებული.

სხვათა შორის, საბჭოთა სამბისტების წარმატებას მსოფლიო სარბიელზე მნიშვნელოვნად სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს. საზღვარგარეთელი ათლეტები, რომლებიც დიდი ხანია სამბოში გამოდიან, უმთავრესად ჭიდაობის კლასიკურ სახეობებს ეყრდნობიან და ილეთებსაც სწორედ აქედან სესხულობენ. საბჭოთა სამბისტებს მათთან შედარებით მდიდარი არჩევანი აქვთ. ბევრი მათგანი წარმატებით იყენებს უზბეკურ, ყაზახურ, სომხურ, ქართულ, რუსულ და ჭიდაობის სხვა ეროვნული სახეობების მდიდარ გამოცდილებას. მათ ტექნიკურ უპირატესობასაც სწორედ ეს განსაზღვრავს.

მიუხედავად იმისა, რომ სამბომ მტკიცედ მოიკიდა ფეხი საზღვარგარეთ, პრიზიორთა შორის ჯერჯერობით მაინც ერთი და იმავე სახელმწიფოს წარმომადგენლებს ვხვდებით. აი, ევროპის ჩემპიონატში გამორჩეულთა სიაც:

**48 კგ.** 1. ვ. პუდნიკოვი (სსრ კავშირი), 2. დ. დიმიტროვი (ბულგარეთი).

**52 კგ.** 1. ა. მუსაბეკოვი (სსრ კავშირი), 2. დ. სუარეში (საფრანგეთი), 3. დ. როდონოვი (ბულგარეთი).

**57 კგ.** 1. ა. ნოვიკოვი (სსრ კავშირი), 2. ი. მოსე (საფრანგეთი), 3. ნ. კრისტენი (ბულგარეთი) და პ. კუნი (შვეიცარია).

**62 კგ.** 1. კ. ნურალიევი (სსრ კავშირი), 2. კ. მარტინესი (საფრანგეთი), 3. ე. არილაგა (ესპანეთი) და ი. ნეტოვი (ბულგარეთი).

**68 კგ.** 1. ვ. იაპრინცევი (სსრ კავშირი), 2. დ. ჟუანი (საფრანგეთი), 3. ხ. ბოკანეგრა (ესპანეთი) და ვ. ცოჩევი (ბულგარეთი).

**74 კგ.** 1. ე. ხალილოვი (სსრ კავშირი), 2. ს. ნაჩევი (ბულგარეთი), 3. ი. იდარეტა (ესპანეთი) და პ. მორენი (საფრანგეთი).

**82 კგ.** 1. გ. ჩერტკოევი (სსრ კავშირი), 2. დ. დიურუ (საფრანგეთი), 3. ხ. იდარეტა (ესპანეთი) და ე. კასპერსი (ჰოლანდია).

**90 კგ.** 1. ვ. ჩინგინი (სსრ კავშირი), 2. მ. სტოიანოვი (ბულგარეთი), 3. რ. აფონსო (ესპანეთი) და დ. ალექსანდრო (იტალია).

**100 კგ.** 1. ვ. გურინი (სსრ კავშირი), 2. დ. სტოიკოვი (ბულგარეთი), 3. ა. ბიზი (საფრანგეთი) და დ. ტორო (ესპანეთი).

**მძიმე.** 1. ვ. ჩესნოკოვი (სსრ კავშირი), 2. მ. პეტკოვი (ბულგარეთი).

როგორც ხედავთ, ზოგიერთ წონაში მესამე საპრიზო ადგილები არ გათამაშებულა, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. ყურადღებას ის იქცევს, რომ პრიზიორთა რიგებში სხვა ქვეყნების წარმომადგენლები გამოჩნდნენ. პირველ ყოვლისა შვეიცარიელები და ჰოლანდიელები (ბულგარელ, ფრანგ და ესპანელ სამბისტთა წარმატებებს უკვე შეჩვეული ვართ).

საპრიზო ადგილები ქვეყნებს შორის წლევანდელ ჩემპიონატებში ასე განაწილდა:

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| **სსრ კავშირი** | 10 | — | — |
| **ბულგარეთი** | — | 5 | 4 |
| **საფრანგეთი** | — | 5 | 2 |
| **ესპანეთი** | — | — | 6 |
| **შვეიცარია** | — | — | 1 |
| **ჰოლანდია** | — | — | 1 |
| **იტალია** | — | — | 1 |

თუ ამ შედეგებს ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის მაჩვენებლებს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ მდგომარეობა ბოლო ერთი წლის მანძილზე თითქმის არ შეცვლილა. შარშან საბჭოთა სამბისტებმა 9 ოქროს მედალი და ერთი ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვეს. ესპანელებს ერთი ოქროს და 4-4 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი ჰქონდათ, ბულგარელებს — ორი მეორე და ოთხი მესამე ადგილი. მხოლოდ ფრანგებმა გააკეთეს შესამჩნევი ნახტომი — შარშანდელ ორ პრიზიორს წლეულს ხუთი ახალი პრიზიორი შეემატა.

# კვლავ „ოლიმპია-სიმაკი“

**დამთავრდა იტალიის მორიგი ჩემპიონატი კალათბურთში. ეს ჩემპიონატი უშედეგოთ დრძოლებით გამოირჩევა და ამ მხრივ გამონაკლისი არც წლევანდელი ტურნირი ყოფილა.**

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მილანის „ოლიმპია-სიმაკი“ და კაზერტის „მობილჯირჯი“. ნახევარფინალში „ოლიმპია-სიმაკმა“ დაამარცხა ტურინის გუნდი „ბერლონი“, ხოლო „მობილჯირჯი“ დაძაბულ ბრძოლაში მოუგო კანტუს კლუბს. სხვათა შორის, გადამწყვეტი მატჩი „მობილჯირჯის“ კანტუში მოიგო, რაც მიმომხილველთა უმრავლესობამ მოულოდნელობად ჩათვალა.

ფინალის პირველი მატჩი მილანში ჩატარდა და მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, რაც უფრო იმით აიხსნება, რომ მილანელებმა შეძლეს „მობილჯირჯის“ შეტევის ლიდერის ოსკარ შმიტის ნეიტრალიზება. დიახ, მან გუნდს მხოლოდ 7 ქულა შესძინა. პირველ მატჩი „ოლიმპია-სიმაკმა“ მოიგო 116:98 (54:48). გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ჰენდერსონი (29 ქულა), პრემიერი (27), შაინე და დანტონი (16-16 ქულა). მათ მეტოქეთაგან ყველაზე კარგად ლოპესმა ითამაშა (25).

საპასუხო მატჩი კაზერტაში გაიმართა და, როგორც უცხოური პრესა აღნიშნავს, უშედეგოთ ხასიათს ატარებდა. მასპინძლებმა ცხარე ბრძოლაში ბრაზილიელ ოსკარ შმიტის (41 ქულა) ბრწყინვალე თამაშის შედეგად მოიპოვეს ძალზე ძნელი გამარჯვება — 115:105 (99:99, 49:46). დამარცხებულთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ პრემიერი (27 ქულა), შაინე (26) ჰენდერსონი (24).

გადამწყვეტი მატჩი მილანში გაიმართა. „ოლიმპია-სიმაკის“ უპირატესობა პირველივე ტაიმში გამოიკვეთა — 40:33. მათ ხელიდან არ გაუშვიათ მოპოვებული უპირატესობა და გაიმარჯვეს — 93:84. ოსკარ შმიტის (32 ქულა) ბრწყინვალე თამაშმა ამჯერად „მობილჯირჯის“ ვეღარ უშველა. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ შაინე (23 ქულა), პრემიერი (22).

„ოლიმპია-სიმაკი“ ზედიზედ მეორედ გახდა იტალიის ჩემპიონი.

**მერაბ კალანდაძე.**

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 11 ივნისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბულგარეთი — არგენტინა (მეორე ტაიმი) — 10.40 (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში — 21.15.

**საქართველოს ტელევიზია.** 11 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში: ბულგარეთი — არგენტინა (მეორე ტაიმი) — 10.40.

**საქართველოს რადიო.** 11 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში — 9.15; რიტმული ტანვარჯიში — 11.40.

**საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში**
**უმაღლესი ლიგა**

**49**

გთავაზობთ სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XIII ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

**„მეტალისტი“ — „ქაირათი“ 1:0 (1:0).** გოლი: ტარასოვი.
გაიფრთხილეს ალმაათელი ფეხბურთელი გრიჯანი.
დუბლიორები — 1:1.

**„ყალგირისი“ — „დინამო“ (მინსკი) 2:1 (1:1).** გოლები: დოზმოროვი („დინამო“), მაკკიავიჩუსი, სუკრისტოვი („ყალგირისი“).
დუბლიორები — 0:1.

**„ჩერნომორეცი“ — „ნეფთჩი“ 1:0 (1:0).** გოლი: იშჩაკი („ჩერნომორეცი“).
დუბლიორები — 1:1.

**„შახტიორი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:1 (1:1).** გოლები: სოკოლოვსკი („შახტიორი“), კობზევი („ტორპედო“).

**„დნეპრი“ — „არარატი“ 2:1 (0:1).** გოლები: მხითარიანი („არარატი“), ტარანი, კუდრიცკი („დნეპრი“).
გაიფრთხილეს ერევნელი ჩილინგარიანი.
დუბლიორები — 4:2.

**ბომბარდირთა** სიას კვლავინდებურად ლიდერობენ ბაქოელი მ. აჰმედოვი და მოსკოვის ტორპედოელი ი. სავიჩევი, რომლებმაც 8-8 ბურთი გაიტანეს. 7-7 გოლია მოსკოვის დინამოელ ა. ბოროდიუკისა და ხარკოველი ი. ტარასოვის ანგარიშზე.

**ლანჩხუთის** „გურიისა“ და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ 7 ივნისის მატჩში, რომელიც ლანჩხუთელებმა მოიგეს ანგარიშით 3:0, ორი ბურთი გაიტანა ტყებუჩავამ და ერთი (პენალტით) — ფრიდონშვილმა.

**დონის** როსტოვის „როსტსელმაშისა“ და ლანჩხუთის „გურიის სტატისტიკურ ანგარიშში (მატჩი დამთავრდა ფრედ — 4:4) უზუსტობა იყო დაშვებული. ლანჩხუთელებმა სტუმრად პირველი ტაიმი მოიგეს ანგარიშით 3:1 და მასპინძლებმა შესვენების შემდეგ შეძლეს თანაფარდობის აღდგენა.

**გათამაშების ცხრილი**

**დუგლიორთა შემადგენლობანი**

**მდგომარეობა 11 ივნისისთვის**

| | თ. | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ | 12 | 9 | 1 | 2 | 28-12 | 19 |
| „სპარტაკი“ | 11 | 7 | 2 | 2 | 33-12 | 16 |
| „დინ.“ თბ. | 13 | 7 | 2 | 4 | 15-12 | 16 |
| „შახტიორი“ | 12 | 6 | 4 | 2 | 19-14 | 16 |
| „ჩერნომ.“ | 13 | 5 | 5 | 3 | 18-16 | 15 |
| „ტორპ.“ მ. | 11 | 4 | 5 | 2 | 15-9 | 13 |
| „ზენიტი“ | 12 | 4 | 4 | 4 | 19-18 | 12 |
| „დინამო“ მ. | 12 | 4 | 3 | 5 | 15-16 | 11 |
| „მეტალის.“ | 13 | 3 | 5 | 5 | 9-11 | 11 |
| „ყალგირ.“ | 12 | 4 | 2 | 6 | 17-18 | 10 |
| „არარატი“ | 13 | 4 | 2 | 7 | 7-14 | 10 |
| „დინ.“ მნ. | 12 | 2 | 6 | 4 | 7-12 | 10 |
| „ტორპ.“ ქ. | 13 | 3 | 3 | 7 | 12-22 | 9 |
| „დინამო“ კ. | 7 | 3 | 2 | 2 | 13-12 | 8 |
| „ქაირათი“ | 12 | 2 | 3 | 7 | 7-21 | 7 |
| „ნეფთჩი“ | 12 | 2 | 3 | 7 | 7-22 | 7 |




**იუმორი**

ვახტანგ კუციას ნახატი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვა“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:**
66435

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07500